ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31233195**
თარიღი: **15/11/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გთხოვთ, მიმდინარე წლის 17 ნოემბრის ბიუროს დღის წესრიგში საკითხად შეიტანოთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესი“ თანდართული დანართის შესაბამისად. საკითხის მომხსენებლად წარმოდგენილი იქნება ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მდივანი ირმა მგელაძე.

პატივისცემით,

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2023 წლის ნოემბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2023 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესი" თანდართული დანართის შესაბამისად;

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესი

ეს წესი განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლებში რეგისტრირებული პირველკლასელთათვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის“ მუხლში გათვალისწინებული პროგრამების განხორციელების პრინციპებს, მათ მიმართ კვებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მიმღებთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას და გასაცემი თანხის ოდენობას.

მუხლი 1. პირველკლასელთა განცხადებისა და დახმარების მისაღებად დოკუმენტაციის წარდგენის წესი

1. განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციას პირველკლასელთა მშობელი ან/და კანონიერი წარმომადგენელი წარადგენს მუნიციპალიტეტის მერის სახელზე.

2. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ერთერთი მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი დოკუმენტი, პირველკლასელის დაბადების მოწმობა და ცნობა შესაბამისი სკოლიდან.

3. ბენეფიციართა განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია პროგრამით სარგებლობის შესახებ წარედგინება მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურს, რომლის თანამშრომელი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში მოქალაქეს აძლევს ინფორმაციას ხარვეზის არსებობისა და მისი გამოსწორების თაობაზე.

4. ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ვალდებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურს წარმოუდგინონ თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ბენეფიციართა შესახებ ინფორმაცია მათი პროგრამიდან შესაძლო მოხსნის თაობაზე (იურიდიული ფაქტი: სასწავლებლად სხვა მუნიციპალიტეტის სკოლაში გადასვლა).

მუხლი 2. პირველკლასელთა მიერ ბარათით სარგებლობა

1. პროგრამის თანახმად, პირველკლასელებს დაურიგდებათ საბანკო ბარათები და მის გამოყენებას შეძლებენ მხოლოდ გარკვეულ კვების ობიექტებში და მარკეტებში.

2. ბარათით სარგებლობა გარკვეულწილად შეზღუდულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. შეუძლებელია ბარათის მეშვეობით ბანკომატიდან თანხის გამოტანა და ასევე ბარათის გამოყენება ონლაინ გადახდებისთვის.

3. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში მშობელი ან/და კანონიერი წარმომადგენელი დაუყოვნებლივ მიმართავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით, ბარათის აღდგენის თაობაზე.

მუხლი 3. დაფინანსების წყარო

1. პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის დაფინანსება ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს მერიის შესაბამისი სამსახრურის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად თანხის ჩარიცხვას ბენეფიციარებზე.

მუხლი 4. მონიტორინგი

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებაზე მონიტორინგი დაევალოს მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურს.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური ვალდებულია პროგრამის შესახებ ანგარიში წარუდგინოს მერს ყოველი სასწავლო სემესტრის დასასრულს.

მუხლი 5. პროგრამით სარგებლობის შეწყვეტა

1. პროგრამის სარგებლობის შეწყვეტის საფუძველია:

ა) მიმდინარე სასწავლო წლის დასრულება.

ბ) პროგრამით მოსარგებლე მოსწავლის სასწავლებლად სხვა მუნიციპალიტეტის სკოლაში გადასვლა.

2. მშობელი ან/და კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 6. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. პროგრამა გათვლილია 180 დღიან სასწავლო პერიოდზე წელიწადში და ერთ ბავშვზე გამოყოფილი კვების თანხა შეადგენს საშუალოდ 4 ლარს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელი 305 მოსწავლეა, ჯამი 215 000 ლარს შეადგენს.

2. პროგრამებით გათვალისწინებულ დაფინანსებას ექვემდებარება მომდევნო წლის 1 თებერვლიდან დამდგარი იურიდიული ფაქტი.

3. დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ “ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ “ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2023 წლის დეკემბრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი), ნინო ძიძიგური ტელ: 599266130.